პროგრამის სახელწოდება

მხატვრული კინოს რეჟისურა Fictional film directing

განათლების საფეხური

მაგისტრატურა MASTER DEGREE

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

აუდიოვიზუალური რეჟისურის მაგისტრი Master of Audiovisual Directing

პროგრამის მოცულობა ECTS

120

სწავლების ენა

ქართული

სწავლის ღირებულება

2250 ლარი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მხატვრული კინოს რეჟისურის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა აუდიოვიზუალური ხელოვნების/კინო-ტელე ხელოვნების ბაკალავრის, ან მასთან გათანაბრებული ხარისხი. გარდა ამისა დაიშვებიან ბაკალავრის ხარისხის მქონე პირნი, რომელთაც გავლილი აქვთ minor-პროგრამა კინო-ტელე ხელოვნების მიმართულებით: ზემოაღნიშნული მაგისტრანტობის კანდიდატები აბარებენ მხოლოდ შიდა საუნივერსიტეტო შემოქმედებით ტურს: შესრულებული ნამუშევარი კინოფილმი/ტელეფილმი/ტელეგადაცემა და წერითი დავალება საგამოცდო კომისიის მიერ შეთავაზებულ თემაზე (შეფასება 100 ქულა - საიდანაც კინოფილმი/ტელეფილმი/ტელეგადაცემა - 50 ქულა; წერითი დავალება - 50 ქულა).

სხვა სპეციალობის კურსდამთავრებულები: შესრულებული ნამუშევარი კინოფილმი/ტელეფილმი/ტელეგადაცემა, წერითი დავალება საგამოცდო კომისიის მიერ შეთავაზებულ თემაზე და კინოს ისტორია (შეფასება - 100 ქულიანი სისტემით, საიდანაც კინოფილმი/ტელეფილმი/ტელეგადაცემა - 50 ქულა; წერითი დავალება - 50 ქულა - ჯამი - 0-100 ქულა; კინოს ისტორია 0- 100 ქულა. საბოლოო შეფასება - ქულათა ჯამის საშუალო არითმეტიკული).

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები (ინგლისურ ენაში-B2 დონე; კინოს ისტორია) და შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.batu.edu.ge) გამოცდების დაწყებამდე ოთხი თვით ადრე. ინგლისურ ენაში B2 დონის დადასტურება ასევე შესაძლებელია ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტით.

ნამუშევარი საგამოცდო კომისიის მიერ ფასდება 100 ქულიანი სისტემით მოცემულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის ერთობლიობით.		
შეფასების კრიტერიუმები - (1 კრიტერიუმი ფასდება 0-5 ქულით)		
კინო/ტელეფილმი	**ტელეგადაცემა**	**წერითი დავალება**
იდეის აქტუალობა და ავტორისეული ხედვა; მხატვრული გადაწყვეტის ფორმა; თემატური სისრულე, სიღრმე და შემოქმედებითად დამუშავების ხარისხი; ამბავის გადმოცემის ვიზუალურ-გამომსახველობითი სტილი, ფორმები და თხობითი დინამიკა; ოპერატორთან, მუშაობის ხარისხი; მხატვართნ მუშაობის ხარისხი; მსახიობთან მუშაობა; მონტაჟი და ხმოვან-მუსიკალური გაფორმება; დრამატურგიული სტრუქტურა - შინარსობრივ-კონცეპტუალური მთლიანობა; ნაშრომის პოსტ-პროდუქციის პერსპექტივა.	თემის აქტუალობა და ავტორისეული ხედვა; თემის გახსნა მოცემული ამოცანის შესაბამისად; ამბავის გადმოცემის ვერბალური სტილი და თხობითი დინამიკა; ამბავის გადმოცემის ვიზუალურ-გამომსახველობითი სტილი, ფორმები და თხობითი დინამიკა; მოქმედი გმირების/რესპოდენტების სწორი შერჩევა და შესაბამისი სიტუაციური ატმოსფეროს შექმნა; მასალის ორიგინალობა და ექსკლუზიურობა; თემატური სისრულე, სიღრმე და მასალის დამუშავების ხარისხი; დრამატურგიული მასალის შინარსობრივ-კონცეპტუალური მთლიანობა; მონტაჟი და ხმოვან-მუსიკალური გაფორმება; ნაშრომის პოსტ-პროდუქციის პერსპექტივა.	პრობლემის დასმა, შემოქმედებითი ინტერპრეტაციის უნარი; ინდივიდუალური ხედვა; თემის გახსნა და იდეურ-მხატვრული გადაწყვეტა; ფორმულირების სიზუსტე და გასაგებად ჩამოყალიბება; სიუჟეტის მხატვრულად გადმოცემის ხარისხი; აზროვნების სიღრმე და ორიგინალობა; მხატვრული მთლიანობის სისტემატიზაცია; ზოგადი ჰუმანიტარული ერუდიციის გამოვლინება (მაგალითების, სახეების, სიმბოლოების, მეტაფორების მოყვანა); გრამატიკა, სტილი, ენის გამომსახველობა; სამოქალაქო პოზიცია.
კინოს თეორია და ისტორია 0-100 ქულა (4 -25 ქულიანი საკითხი)		
საგამოცდო საკითხები და ლიტერატურა		

- კინოს დაბადება, წინაპირობები. თ. ედისონი; ძმები ლუმიერები; ჟ. მელიესი. ლიტ: ამირეჯიბი ნ., სინემატოგრაფიდან კინოხელოვნებამდე, თბ., 1990; დოლიძე ზ., მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორია, უხმო კინო, თბ., 2007; თვალჭრელიძე ტ., კინემატოგრაფიული ძიებანი, თბ., 1981
- უხმო კინოს ესთეტიკა. დ. უ. გრიფიტი; ჩ. ჩაპლინი. ლიტ: ამირეჯიბი ნ., სინემატოგრაფიდან კინოხელოვნებამდე, თბ., 1990; დოლიძე ზ., მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორია. უხმო კინო, თბ., 2007; თვალჭრელიძე ტ., კინემატოგრაფიული ძიებანი, თბ., 1981; „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“ №1 (42), 2010
- ქართული კინოს დაბადება. პირველი კინემატოგრაფისტები. ლიტ: ამირეჯიბი ნ., დროთა ეკრანი, თბ., 1990; დოლიძე ზ., ქართული კინო, თბ., 2005; ხარატიშვილი გ., ქართული კინოს დაბადება, თბ., 1975; ქართველი რეჟისორები, საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინოს სამეცნიერო-კვლევითი სექტორის ავტორთა ჯგუფი, I ნაწილი, თბ., 2005; ქართველი რეჟისორები, საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინოს სამეცნიერო-კვლევითი სექტორის ავტორთა ჯგუფი, II ნაწილი, თბ., 2007
- XX ს-ის 20-იანი წლების ქართული კინოს ძირითადი ტენდენციები. ლიტ: ამირეჯიბი ნ., დროთა ეკრანი, თბ., 1990; დოლიძე ზ.,

ქართული კინო, თბ., 2005; ხარატიშვილი გ., ქართული კინოს დაბადება, თბ., 1975; ქართველი რეჟისორები, საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინოს სამეცნიერო-კვლევითი სექტორის ავტორთა ჯგუფი, I ნაწილი, თბ., 2005; ქართველი რეჟისორები, საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინოს სამეცნიერო-კვლევითი სექტორის ავტორთა ჯგუფი, II ნაწილი, თბ., 2007

- „კინოავანგარდი“. „კინოექსპრესიონიზმი“. წარმოშობის მიზეზები და გამომსახველობითი ხერხები. ლიტ: ამირეჯიბი ნ., სინემატოგრაფიდან კინოხელოვნებამდე, თბ., 1990; დოლიძე ზ., მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორია. უხმო კინო, თბ., 2007; „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“ №3 (48), 2011.
- ხმოვანი კინოს წარმოშობა და მასთან დაკავშირებული ცვლილებები. კინოს სახეები და ჟანრები. ლიტ: ამირეჯიბი ნ., სინემატოგრაფიდან კინოხელოვნებამდე, თბ., 1990; დოლიძე ზ., მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორია. უხმო კინო, თბ., 2007
- მეორე მსოფლიო ომი და კინემატოგრაფი. ისტორიული მოვლენების გავლენა კინოს განვითარებაზე. ლიტ: დოლიძე ზ., ქართული კინო, თბ., 2005; ქართველი რეჟისორები, საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინოს სამეცნიერო-კვლევითი სექტორის ავტორთა ჯგუფი, II ნაწილი, თბ., 2007; „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“ №4 (53), 2012
- ახალი მიმდინარეობებისა და სტილისტური მიმართულებების ფორმირება კინოში (50-60-იანი წლები). იტალიური „ნეორეალიზმი“. ლიტ: ამირეჯიბი ნ., სინემატოგრაფიდან კინოხელოვნებამდე, თბ., 1990; თვალჭრელიძე ტ., სიმართლე ეკრანზე, თბ., 1989.
- ფრანგული „ახალი ტალღა“ - ახალი ესთეტიკა, ახალი თემები. ლიტ: ამირეჯიბი ნ. სინემატოგრაფიდან კინოხელოვნებამდე, თბ. 1990; თვალჭრელიძე ტ., სიმართლე ეკრანზე, თბ., 1989.
- 70-80-იანი წლების კინემატოგრაფის ძირითადი ტენდენციები. ლიტ: თვალჭრელიძე ტ., კინემატოგრაფიული ძიებანი, თბ., 1981; კუჭუხიძე ი., ეკრანი და დრო, თბ. 2009; ქართველი რეჟისორები, საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინოს სამეცნიერო-კვლევითი სექტორის ავტორთა ჯგუფი, I ნაწილი, თბ., 2005; ქართველი რეჟისორები, საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინოს სამეცნიერო-კვლევითი სექტორის ავტორთა ჯგუფი, II ნაწილი, თბ., 2007

თითოეული საკითხის შეფასების კრიტერიუმები		
ა) საკითხის ცოდნა 0–5 ბ) ინფორმაციის სისრულე 0–5 გ) ანალიზის უნარი 0–5 დ) ლოგიკური მსჯელობის უნარი 0–5 ე) დასკვნის უნარი 0-5	გამოცდა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. საგამოცდო ბილეთი შედგება ოთხი საკითხისაგან, თითოეულის მაქსიმალური შეფასება 25 ქულა.	5 ქულა – სრულად არის დაცული კრიტერიუმი; 4 ქულა– ძირითადად არის დაცული კრიტერიუმი; 3 ქულა – ნაწილობრივ არის დაცული კრიტერიუმი; 2 ქულა – კრიტერიუმი ნაწილობრივ ნაკლოვანია; 1 ქულა - კრიტერიუმი ძირითადად ნაკლოვანია; 0 ქულა – არ არის დაცული კრიტერიუმი.

პროგრამის მიზანი

მხატვრული ფილმის რეჟისურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ვექტორია ხელოვნების ფუნდამენტური დარგების განვითარება.

● სამაგისტრო პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტის მსოფლმეხდველობის გაფართოებას, ანალიტიკური უნარებისა და წარმოსახვის განვითარებას; მხატვრული კინოს დამდგმელი რეჟისორის პროფესიული შემოქმედებითი საქმიანობის წარმოებისათვის აუცილებელი თეორიული და პრატიკულ-შემოქმედებითი ასპექტების კრიტიკულ გააზრებას.

● მაგისტრანტი სიღრმისეულად გაანალიზებს და აღწერს უახლეს მიღწევებს კინოხელოვნების დარგში; განსაზღვრავს მხატვრული კინოს რეჟისურის - კინოხელოვნების სფეროს თეორიულ კანონზომიერებებს, ისტორიული განვითარების ძირითად ტენდენციებს.

● სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის და პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე დამდგმელი რეჟისორი, რომელიც შეძლებს მხატვრული სრულმეტრაჟანი ფილმის წარმოების ყველა ეტაპის გავლას: სცენარის ღრმა სტრუქტურული ანალიზი, ეკრანული გადაწყვეტის ძიება, სარეჟისორო სცენარზე მუშაობა და სადადგმო იდეის მხატვრულ-კონცეპტუალური ანალიზი; სცენარისტთან, მხატვართან, კომპოზიტორთან, მთავარ ოპერატორთან მუშაობა და მომავალი ფილმის იდეურ-ვიზუალური პროექტირება, სარეჟისორო კადრირება; გადაღებების დაგეგმვა (გადასაღები ადგილი(ები)ს წინასწარი შერჩევა, გადაღების გრაფიკის შედგენა); მსახიობთა კასტინგი და ძირითადი რეპეტიციები, ტექნიკურ-შემოქმედებითი გადამღები ჯგუფის ფილმზე მუშაობის პროცესის ორგანიზება-წარმართვა (მოცემული ამოცანის შესაბამისად მიზანსცენის, ეპიზოდის დადგმა და სცენურ-კომპოზიციური გამართვა; განათების დაყენება (გამნათებელთან მუშაობა) და გადაღების წარმოება; გადაღებული აუდიო-ვიზუალური მასალების რეჟისორული ანალიზი, მონტაჟის რეჟისორთან, კომპოზიტორთან და ხმის რეჟისორთან მუშაობა: ფილმური აუდიო-ვიზუალური მასალების, ხმოვან-მუსიკალური ხაზის მონტაჟური დახარისხება და სტრუქტურირება; ფილმის მონტაჟური აგება/აწყობა და გამთლიანება. ფილმის საბოლოო მონტაჟურ-ტექნიკური გამართვა და იდეურ-შინაარსობრივი სრულყოფა.

მაგისტრანტმა კარგად უნდა გაითავისოს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების ფუნდამენტური პრინციპები, კინოპროდიუსინგის საფუძვლები; ფილმის შექმნის მხატვრულ-შემოქმედებითი პროცესი და ტექნიკა და ტექნოლოგიები; წარმოების ორგანიზების, პროექტირების, პოსტწარმოების, ფილმის სამომხმარებლო ბაზარზე წინ წაწევის მარკეტინგული მეთოდები; საავტორო პროექტის წარმოების შემოქმედებეთი, მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსურ-მენეჯერული ასპექტების სახესხვაობრივი ნიუანსების გათვალისწინება.

● კვლევაზე მუშაობის პროცესში, მოიძიოს კინოხელოვნებასთან (მათ შორის მხატვრული ფილმზე მუშაობისას) დაკავშირებული ისტორიულ-თეორიული წყაროები, დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს ახალი მიგნებები, დასკვნები და კვლევის შედეგები არგუმენტირებულად წარადგინოს როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული საზოგადოების წინაშე.

● პროგრამის მიზანია მაგისტრანტს ჩამოუყალიბდეს პროფესიული ღირებულებები, კარგად აფასებდეს თანამედროვე სოციალურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას და საკუთარი შემოქმედების როლს ამ გარემოში; პასუხიმსგებლობით მოეკიდოს საავტორო უფლებებს, პროფესიულის საქმიანობის ეთიკას.

● კინოხელოვნების დარგში - მხატვრული კინოს რეჟისურის მიმართულებით დამოუკიდებლად წარმართოს საკუთარი და სხვისი სწავლის, კვლევისა და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის პროცესი. შეძლოს საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გადაცემა საგანმანათლებლო აღმზრდელობით პროცესში.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

ლექცია; სემინარი; პრაქტიკული მუშაობა (ინდივიდულური/ჯგუფური); ელექტრონული სწავლება (ელექტრონული რესურსით სწავლება); ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; წერითი/წიგნზე მუშაობის მეთოდი; ლაბორატორიული მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი (ვიდეომასალების ჩვენება, დინამიკური ხასიათის მასალა და სხვ.); პრაქტიკული მეთოდები (სასწავლო-სტუდიური/საველე).

სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები:

დისკუსია/დებატები; ჯგუფური (collaborative) მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; ევრისტიკული მეთოდი; შემთხვევის ანალიზი (Case study); გონებრივი იერიში (Brain storming); როლური და სიტუაციური თამაშები; დემონსტრირების მეთოდი; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი; ახსნა–განმარტებითი მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; ელექტრონული სწავლება (E-learning) - ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს: დასწრებული; ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური); დისტანციური.

სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება

1. კრიტიკულად აანალიზებს და მიმოიხილავს (დარგის ტერმინოლოგიის გამოყენებით) მხატვრული კინოს რეჟისურის პროფესიულ მახასიათებლებს, მთავარ პრინციპებს, თეორიებს და კონცეფციებს, მათ შორის მხატვრული კინოს დამდგმელი რეჟისორის პროფესიული შემოქმედებითი საქმიანობის წარმოებისათვის აუცილებელ თეორიულ და პრატიკულ-შემოქმედებით ასპექტებს.
2. სიღრმისეულად აანალიზებს და აღწერს მხატვრული კინოს წარმოების სფეროში თანამედროვე/უახლეს მიღწევებს;
3. განსაზღვრავს მხატვრული კინოს რეჟისურის - კინოხელოვნების დარგის თეორიულ კანონზომიერებებს, ისტორიული განვითარების ძირითად ტენდენციებს/ნარატივებს;

უნარი

4. უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში მოიძიებს რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით. დამოუკიდებლად ასრულებს შემოქმედებით პრაქტიკულ პროექტს (სცენარის ღრმა სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე მომავალი ფილმის იდეურ-ვიზუალური პროექტირება, ტექნიკურ-შემოქმედებითი გადამღები ჯგუფის ფილმზე მუშაობის პროცესის ორგანიზება-წარმართვა. საკუთარი იდეის მოდელირება, ზეპირი გადმოცემა და მკაფიოდ ახსნა; მოცემული ამოცანის შესაბამისად მიზანსცენის, ეპიზოდის დადგმა და სცენურ-კომპოზიციური გამართვა; გადაღების წარმოება; გადაღებული აუდიო-ვიზუალური მასალების რეჟისორული ანალიზი და ფილმის საბოლოო მონტაჟურ-ტექნიკური გამართვა და იდეურ-შინაარსობრივი სრულყოფა) და მასთან დაკავშირებულ თეორიულ ანალიზს-სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს;

5. კვლევაზე მუშაობის პროცესში, მოიძიებს მხატვრული კინოს რეჟისურის - კინოხელოვნებასთან დაკავშირებულ ისტორიულ-თეორიულ წყაროებს, დამოუკიდებლად აყალიბებს ახალ მიგნებებს, დასკვნებს და კვლევის შედეგებს არგუმენტირებულად წარადგენს როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული საზოგადოების წინაშე.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

6. აფასებს თანამედროვე სოციალურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას და საკუთარი შემოქმედების როლს ამ გარემოში; პასუხიმსგებლობით ეკიდება საავტორო უფლებებს, პროფესიულის საქმიანობის ეთიკას.

7. მართავს არაპროგნოზირებად ან მულტიდისციპლინურ სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს და გადასცემს ცოდნა-გამოცდილებას საგანმანათლებლო აღმზრდელობით პროცესში;

8. დამოუკიდებლად წარმართავს მხატვრული კინოს რეჟისურის მიმართულებით საკუთარი და სხვისი სწავლის, კვლევისა და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის პროცესს.

დასაქმების სფერო

სასწავლო კურსის გავლისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ კურსდამთავრებული თავის რეალიზაციას შეძლებს:

- ინდივიდუალურ შემოქმედებაში;
- საზოგადოებრივ სექტორში;
- კულტურის დაწესებულებებში;
- კინოწარმოებაში: სახელმწიფო და კერძო კინოსტუდიები;
- გასართობი ცენტრებში, ხმის ჩამწერ და სარეკლამო სტუდიებში;
- კერძო შეკვეთების შესრულებას;
- პედაგოგიურ მოღვაწეობას.

შეფასების სისტემა

სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40% (0-40 ქულა).

სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება. დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“).

სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება, თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან:

დადებითი შეფასება:

(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

- საკონსულტაციო საათები განისაზღვრება სემესტრის დასაწყისში და განთავსდება სასწავლო ცხრილთან ერთად.
- შუალედური გამოცდების ჩატარების დრო განისაზღვრება სემესტრის დასაწყისში და განთავსდება სასწავლო ცხრილთან ერთად, ხოლო დასკვნითი გამოცდის შესახებ ინფორმაცია მოწოდებული იქნება სასესიო პერიოდის დაწყებამდე 2 კვირით ადრე.
- დაუშვებელია პლაგიატი.

სწავლის გაგრძელება

მაგისტრის ხარისხის მოპოვების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს სწავლა განაგრძოს დოქტორანტურაში.

სასწავლო პროცესის საკადრო უზრუნველყოფა		
აკადემიური პერსონალი		
სახელი, გვარი	*სტატუსი*	*სასწავლო კურსი*
გიორგი გოგიბერიძე	ასოცირებული პროფესორი	მხატვრული კინოს რეჟისურა 1-3; ფილმწარმოება
ირაკლი კიკვაძე	ასისტენტ პროფესორი	მხატვრული კინოს რეჟისურა 1-3
მამუკა ჩხიკვაძე	ასოცირებული პროფესორი	ოპერატორის ხელოვნება (თეორია და პრაქტიკა)
ამირან ვადაჭკორია	ასისტენტ პროფესორი	მონტაჟის ხელოვნება (თეორია და პრაქტიკა)
ოლღა ჟღენტი	ასოცირებული პროფესორი	კინემატოგრაფის ძირითადი ტენდენციები
მერაბ ლებანიძე	ასოცირებული პროფესორი	სამსახიობო ხელოვნება (თეორია და პრაქტიკა)
მანანა ხელაია	ასისტენტი	
ხათუნა მანაგაძე	პროფესორი	მუსიკა კინოში
მოწვეული პერსონალი		
ინგა ხალვაში	I კატ. სპეციალისტი. დოქტორი;	ფილმის სტუქტურული ანალიზი
ბესო სოლომონაშვილი	I კატ. სპეციალისტი	კინოდრამატურგია
აკაკი ჯაში	I კატ. სპეციალისტი	კინომხატვრობა

პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი

მამუკა ჯორბენაძე, ხელოვნების ისტორიის და თეორიის დოქტორი, პროფესორი, სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი; მობ. 593 05 05 70 e-mail: mamuka.j78@gmail.com

ინგა ხალვაში, ხელოვნების ისტორიის და თეორიის დოქტორი, ბხსუ-ს რექტორის მოადგილე; მობ. 599 79 27 36 e-mail: inga.khalvashi@batu.edu.ge

სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი

ბხსუ უზრუნველყოფილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიებითა და სასწავლო სახელოსნოებით ბხსუ-ს გააჩნია სასწავლო და სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის.

სასწავლო პროცესების სტრუქტურა

კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი	კრედიტი	საათები			კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით			
				სულ	საკონტ.	დამოუკ.	I	II	III	IV
სპეციალობის ძირითადი კურსები			*110*	*2750*	*645*	*2105*	*30*	*30*	*25*	*30*
5-5C1	ოპერატორის ხელოვნება (თეორია და პრაქტიკა)		6	150	48	102		6		
5-5C2	ფილმწარმოება		5	125	50	75	5			
5-5C3	კინოდრამატურგია		4	100	32	68	4			
5-5C4	მონტაჟის ხელოვნება (თეორია და პრაქტიკა)		6	150	48	102		6		
5-5C5	კინემატოგრაფის ძირითადი ტენდენციები		3	75	30	45	3			
5-5C6	მუსიკა კინოში		2	50	20	30			2	
5-5C7	სამსახიობო ხელოვნება (თეორია და პრაქტიკა)		3	75	45	30		3		
5-5C8	კინომხატვრობა		3	75	30	45	3			
5-5C9	5-5C5	ფილმის სტუქტურული ანალიზი	3	75	30	45			3	
5-5C10-1		მხატვრული კინოს რეჟისურა 1	15	375	90	285	15			
5-5C10-2	5-5C10-1	მხატვრული კინოს რეჟისურა 2	15	375	90	285		15		
5-5C10-3	5-5C10-2	მხატვრული კინოს რეჟისურა 3	15	500	90	380			15	
5-5C11	სამაგისტრო ნაშრომი		30	750	42	708				30
	არჩევითი კურსები		*10*	*250*	*60*	*190*			10	
სულ			*120*	*3000*	*705*	*2295*	*30*	*30*	*30*	*30*